



კვირა, 22 მაისი
№ 21—1916


ფასი
10 კ.



წელიწადი
მ ე ო თ ხ ე

დრამატურგ-მსახიობი
აღმ. ივ. სუმბათაშვილი

სათათბიროს ათი წლის თავი



მეოთხე სათათბიროში
ავ. ჩხეკელი, კარ. ჩხეიძე

პირველ სათათბიროში: 1) ი. ა. (ასიკო) პარათაშვილი, 2) ნ. ჯ. ფარდანი, 3) ს. ჯ. ჯაფარიძე, 4) ისიდორე მიშვილი, 5) ა. კომარტაძე, 6) ს. წერეთელი.

სახალხო სახლი

ოთხშაბათს 1 ივნისს ქართულ დრამატ. დასის მსახიობთა მონაწილეობით **ი. ზარდლიშვილი** გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება მიწველად ქართულ სცენაზე ბერნშტეინის პიესა დრამა 3 მ. თარგ. შალვა დადიანისა.

აგნესას რულს შესრულებს **ნ. დავითაშვილი**, ტიბოს — **ი. ზარდლიშვილი**.

ადგილების ფასი ყველასთვის ხელმისაწვდენია დასაწყისი საღამოს 8¹/₂ ს. ბილეთები იყიდება. რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი** გამ. დ. ახვლედიანისა კნ. ელ. წერეთელისა

ურჩიის სისხლი

პანი უოზოვს

„ახალი კლუბი“

ერთი კვირის პროგრამა 22 — 29 მაის.

კვირას — **წ. კ. ს. სვირნოვა**

ორშაბათი — სინემატოგრაფი, სიმფონიური კონცერტი.

სამშაბათი — რუსული ოპერეტა

ოთხშაბათი — სინემატოგრაფი, სიმფ. კონც.

ხუთშაბ. — ქართული წარმოდგენა (უფასოდ);

პარასკ. სინემატოგრაფი, სიმფონ. კონცერტი

შაბათი — სიმფონიური კონცერტი ვოლფ-იზრელის ლობტარობით, სკრიპკაზე დამკვრელ სოლისტის ბელსკის და ოპერის არტისტის ნიკოლსკის მონაწილეობით;

კვირა — ორკესტრი; სინემატოგრაფი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8¹/₂ ს.

შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მაშაკაცები 1—05 კ.

ქართული ცეკვის სკოლა



ა. გ. ალექსიძე

როგორც ქალებს, აგრედვე ვალებს ვისწავლი ყოველგვარ კავკასიურ ცეკვას: ქართულს, ლიკურს, დაღისტურს, ნაურსულს, სომხურსა და თათრულს თამაშსა. **ალექ. ალექსიძე** ადრესი: ჭავჭავაძის ქ. № 1, კერძოაულ ნიკიას სკოლა ინსტრუქტორისა (3-1)

სახალხო სახლი

სამშაბათს, 24 მაისს, 1916 წ. ქარ. დრამ. დასის მიერ ელ. მესხიშვილის მონაწილეობით

ქლონდ კინი

დასაწყისი საღ. 8 საათზე

ადგილების ფასი ყველასთვის ხელმისაწვდენია



№ 21

ჩემდავითის განცხადება

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. კალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“ სტამბაში ყოველ ეამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифლის, Ред. „Театри да Цховრება“ Иос. Имедашвили

წელიწადი
მ ი თ ხ ე

№ 21

კ ვ ი რ ა, 22 მაისი

1916 წ.

22 მაისი

მკვდრეთით აღდგომის მოციქული (ა. ი. სუმბათაშვილი)
ჩვენს შორის იმყოფება ის, ვინც ბასრი სიტყვით, ჯედოსნური სურათებით და ზენაარი შთაგონებით აღდგომას გვიწინასწარმეტყველებს ხალხის შემწეობით...

ეს არის ჩვენი სიამაყე—მწერალ-მოდგარი, ხელოვან-ქურუმი ა. ი. სუმბათაშვილი.

დაე, სხვებმა იგი იწამონ როგორც რუსეთის სასცენო ხელოვნების დიდი ქურუმი, თანამედროვე რუსთა დრამატურგიის მშვენიერება, დაე, ჩვენში იგი დასახონ, როგორც საქართველოს მრავალ საუკუნოებით განაწამებ ცხოვრების ჯადო-გამომსახველი, ჩვენ, გარდა ამისა, იგი გვწამს როგორც ჩვენი მდამბო ხალხის მომღერალი, მისი აღდგენა-გამარჯვების მოციქული...

დააკვირდით: ერთის მხრით ოთარბეგერეკლენი, ს. მშობლოს კეთილდღეობას პირად ბედნიერებაში რომ სცვლინ, მეორე მხრით—ანანია-გლახა ქვეყნის სახ. ნელად თავის ღვიძლ ჩჩვილ შვილსაც რომ არ ზოგავს, და დათო, რომელიც მტარვალს დაამზობს და სამშობლოს თვითარსებობისთვის ურყევად ბოძად ჰყუდია.

უყურეთ და იხილეთ—ვისაც თვალნი გაქვთ ხილვად, უსმინეთ და ისმინეთ—ვისაც ყურნი გაქვთ სმენად...

სამშობლოსგან გასული შვილი, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც დაუბრუნდა სამშობლოს უკვდავის ძღვენით—დიდებული ძეგლით...

იგი თავისი „ლალატი“-თ ასწავლის ყველას, რავდენად მიუტყევებელია სამშობლოს ღალატი და ვინც თავის ერს, ჰლალატობს — რა რიგ დაკარგულია, სულ-ხორციით წაწყყედილი...

ჩვენი დროის მოციქულმა მამულიდან განდგომილნი ამხილა, დაცემულთ შთაბერა სული განახლებისა, ხოლო მდამბო ხალხს, რომელიც საქართველოს თვითარსებობის ნამდვილი ფუძეა, უთხრა: წარსულში შენ იცავდი მამულს, აწმყო—მომავალშიაც შენვე უნდა აღადგინო შენი დაცემული სამშობლო-ო.

ღადო დარჩიაშვილი



(1872 - 1916)

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის!“

ჩემთან ერთად ბევრს მოაგონდა უაუოდ პოეტის მწარე ოხვრა, როდესაც ლაღო დარჩიაშვილის სიკვდილი გაიგო.

ცხადათ მეხატება მშვიდი, კეთილი, წყნარი, ღმობიერი სახე, გამოუთქმელი ფიქრით, გამოუთქმელი სევდით სავსე თვალები: შევყურებ მას და არა მჯერა, რომ მარადისობამ შთანთქა ეს ფიქრი, ეს სევდა და ეს სახეც.

აღამიანი, რომელშიაც არავითარი ბოროტება არ იყო—აი ლადო დარჩიაშვილი.

უსაზღვროთ კეთილი, მეტათ თავმდაბალი, ფეხის ფრჩხილებამდე ალალ-მართალი კაცი—აი ლადო დარჩიაშვილი.

ბავშვივით გულუბრყვალო, უმწიკვლო, —აი ლადო დარჩიაშვილი.

და სწორეთ ამ ბავშურ ბუნებაში იყო მისი დიდი ღირსება და მისი ნაკლიც: როგორც თვითონ იყო კეთილი და პატიოსნებით სავსე, ისეთი ეგონა ყველა ვისაც ცხოვრებაში ზღვებოდა; ყველას უზომოთ ენდობოდა და ამის გამო ბევრჯერ მოტყუებული რჩებოდა.

კეთილშობილი და ზრდილი, თავაზიანი და ნამდვილი ჯენტლმენი, რომელიც ადამიანში მუდამ პატივსა სცემდა აღამიანს და შეურაცყოფას არავის მიაყენებდა, არავის პიროვნებას არ შეეხებოდა,—აი ლადო დარჩიაშვილი.

აღამიანი, რომელზედაც სამართლიანათ ითქმის: ქიანქველასაც კი ფეხს არ დაადგამსო,—აი ლადო დარჩიაშვილი.

აზროვნების სფეროში გამბედავი, მეტათ გულახდილი, დაუფარავი, ცხოვრებაში კი მორცხვი, ჩუმი, მორიდებული,—აი ლადო დარჩიაშვილი.

აღამიანი, რომელიც ბევრსა ჰფიქრობდა და ცოტას ლაპარაკობდა; აღამიანი, რომელიც ბევრს აკეთებდა და მუდამ ჩრდილში დარჩენას კი არჩევდა,—აი ლადო დარჩიაშვილი.

აღამიანი, რომელიც მუდამ სხვის წყენას, სხვის შეწუხებას ერიდებოდა,—აი ლადო დარჩიაშვილი.

ლადო მეტათ ლამაზი პიროვნება იყო, ერთობ განსხვავებული, მეტათ განირჩეოდა სხვებისაგან. ამის გამო ის ხშირათ გაუგებარი, უცნობი რჩებოდა.

ის მუდამ მზათ იყო, ყოველისფერი მოეცა თქვენთვის, ნაცვლათ კი არაფერი არ უნდოდა, არაფერს არა გთხოვდა.

გულით წრფელი და სულით წმინდა—აი ლადო დარჩიაშვილი.

რა შეურაცყოფაც უნდა მიეყენებიათ მისთვის, ის სამაგიეროს არავის არ გადაუხდიდა და თავის სულში ყოველთვის ნახავდა იმდენ ძალას, რომ აღელვებულ გულის თქმას არ აპყოლოდა.

ის იყო ქეშმარიტი სოციალდემოკრატი და ნამდვილი დასელი, ხოლო ეროვნულ საკითხში ძველ დასელებს არა ჰგავდა: მას ღრმათა სწამდა, რომ ქართველი მშრომელი ხალხის კეთილდღეობა ეროვნულ საკითხში საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას ითხოვს.

ამგვარი რწმენის საჯარო ქადაგებისთვის მას სასტიკათ, მკაცრად მოექცენ მისი ამხანაგები.

ნურავინ იტყვის: პარტიის სიმტკიცე, მთლიანობის დაცვა ამას მოითხოვდაო.

ასეთი სისასტიკე არ იყო არავისთვის საქირო, ასეთი სიმკაცრე არ არის შესაწყნარებელი.

სიმკაცრესა და სისასტიკეს ბოლოს და ბოლოს იმისთვის მოაქვს ზიანი, ვინც მას იარაღათა და ფარხმალათ ხმარობს

აზროვნების სფეროში მეტი თავისუფლება—აი რას მოაქვს მხოლოდ საბოლოო ნაყოფი.

ლადოს კი ერთი საყვედური, ერთი მკაცრი სიტყვაც არ წამოსცდენია: ის მშვიდათ, წყნარათ, სიკეთით სავსე გულით ზიდავდა თავის ჯვარს და მას რომ ლოდს ესროდენ, ის კენქსაც კი არ აიღებდა სხვის სასროლად.

ვაჟას ერთ მოთხრობაში მთის წყარო ამბობს:

—რავქნა, მე ვერავის მივაფურთხებდევ; ისევ მე მაფურთხონო!

ეს სიტყვები ლადო დარჩიაშვილზეა გამოქრილი.

ის იყო წმინდა წყარო, რომელსაც არ შეეძლო ტალახის, ქუქყის მოტანა,—ის ვერავის შეაფურთხებდა.

ეროვნული საკითხის გადაჭრის ნიადგზე მას განსაკუთრებული მიმდინარეობის შექმნა კი არ უნდოდა მარქსიზმში, როგორც ეს ფ.

მ—ს ჰგონია „თანამედროვე აზრში“, მას უნდა დაეხმოს, ახალი ხანა შეექმნა მესამე დასის ისტორიაში და შექმნა კიდევ.


მესამე დასი არ ატარებს საკუთარ სახეს, ის არ არის ჩვენი ერის ცხოვრებაში საკუთარის მეობით, —ის არის ხელქვეითი ნაწილი და მოჩინილი რუსეთის მუშათა პარტიისა. ეს არის პირველი ხანა, მაგრამ მუდამ ამ მდგომარეობაში დარჩენა და დაბერება შეუძლებელია: მესამე დასი უნდა გადიქტეს ნამდვილ

ეროვნულ დასათ, მან უნდა მიიღოს ტერიტორიალური ავტონომია ეროვნულ საკითხში და გამოაცხადოს თვისი თავი დამოუკიდებელ, ქართულ მუშათა დასათ.

თავის განვითარების გზაზე მესამე დასი ვერ ასცდება ამ საფეხურს და ადრე თუ გვიან უსათუოდ მოვა ლადო დარჩიაშვილთან.

ვ. კ. მახვილი

სათათბიროს ათი წლის თავი



პირველ სათათბიროში: 1) ი. ა. (ოსიკა) ბარათაშვილი, 2) ნოე ჟორდანიას, 3) ს. ჯაფარიძე, 4) ისიდორე რამაშვილი, 5) ივ. გამარათელი, 6) ს. წერეთელი.

ათი წლის წინად განმათავისუფლებელმა მოძრაობამ წარმოშობა სახელმწიფო სათათბირო...

რუსეთის ერთა რჩეულნი შვილნი პეტრეს ქალაქში პირველად შეიკრიბნენ 1906 წ. 26 აპრილს, ხოლო ერთი თვის შემდეგ 23—26 მაისს ჩვენმა ქვეყანამ აარჩია თავისი წარმომადგენელი...

უფლებო ქვეყანა თითქო უფლებ თ შეიმოსა, უტყვი ხალხი ამეტყველდა—თვისი გულის ნადები საჯაროდ გამოთქვა.

ერის პირველმა წარმომადგენლობამ მოითხოვა სახელმწიფოს მმართველთა ერის წინაშე პასუხისმგებლობა და უფლებრივ წყობილების განმტკიცება...

დაიწყო ბრძოლა: ძველი წყობილების

დამცველნი და ახალის მომხრენი ურთიერთს შეეტაკნენ...


ქვეყანა გარეგნულად დაშოშმინდა: ხალხმა თვისი ბედი ამომრჩეველებზე მიაგდო—ახალ კანონებს შემოიღებენ, გვიშეღავათებენო.

მაგრამ ლოდინი ლოდინათ დარჩა.

მთელი ათი წლის განმავლობაში მხოლოდ პრეტყელ-პრტყელი სიტყვები ისმოდა: ვისაც უფრო ეპირებოდა შეღავათი—მუშა ხალხს, გლეხკაცობას, დამონებულ ერთ—თითქმის არავითარი შეღავათი არ ღირსებია...

მთავრობამ 1906 წ. 8 ივლისს პირველი სათათბირო დაითხოვა და მისი შემარცხნელ ფრთა, რომელმაც ვიბორგის მოწოდება გამოსცა, გაასამართლა, დასაჯა...

1907 წ. 20 თებერ. მოიწვია მეორე სა-



მეორე სათათბიროში:

შუაში—კაკი წერეთელი, მარჯვნივ—სევ. ჯუღელი, მარცხნივ—არ. ლევ. ჯაფარიძე, ზევით—გ. თ. მახარაძე და ბ. ბ. (ქოლა) ლომთათიძე, ქვევით—კ. ე. კანდელაკი და ნ. ა. კაციაშვილი.

თათბირო, მაგრამ იგიც მალე (1907 წ. მ ივნისს) დაითხოვა და მისი სოციალდემოკრატიული ფრაქცია, ნწ წევრი, პასუხის გებაში მისცა

მხოლოდ მესამე (1907 წ. 1 ნოემბერს მოწვეული) და მეოთხე სათათბირონი მუშაობდენ უხიფათოდ...

ჩვენი ხალხის წარმომადგენელთა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ იგინი ნაკისრ მოვალეობას პირნათლად ასრულებდენ და მუდამ რუსეთის დემოკრატიას შესვეფურობდენ.

ივ. გომართელი, ნოე ჟორდანი, ი. ბარათაშვილი, ი. რამიშვილი, ი. ჯაფარიძე და ნახუცარი ს. წერეთელი — პირველ სათათბიროში, კაკი წერეთელი, არ. ჯაფარიძე, ქოლა ლომთათიძე, სევ. ჯუღელი და სხ.—მეორე სათათბიროში, კარლო ჩხეიძე, ევ. გეგეკეორი და სხ.—მესამე სათათბიროში, იგივე კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი და ვარლ. გულოვანი—მეოთხე სათათბიროში, —ა. საქართველოს შვილნი, რომელნიც სახელოვანად მიუძღოდენ წინ სახ. სათათბიროს მარცხენა ფრთას...

მათი გაბედული სიტყვა, დემოკრატიულ პრინციპებისთვის თავგამოდებითი ბრძოლა—

მუდამ კეთილ მოსაგონრად დარჩება და მომავალ დეპუტატს სახელმძღვანელოდ ექნება...

რუსეთის პარლამენტარიზმის აღორძინება-განვითარების ისტორიკოსი ოქროს ასოებით აღმოჰყვეთს ხალხის უფლებებისათვის მებრძოლ საქართველოს შვილთა სახელებს...

ჩვენს შორეულ წარსულში არა ერთი და ორი ქართველი მოღვაწეობდა სხვათა ერთა შორის როგორც გამოჩენილი სარდალი, კანონმდებელი და ჩაგრულთა მოსარჩლე...

რუსეთის სათათბიროს ათი წლის მოღვაწეობამ დაგვანახვა, რომ ქართველის ეს სული არ ჩამქრალა...

აწინდელ საქართველოში კიდევ ერთხელ გაიღვიძა ძველებურმა რაინდმა, კანონმდებელმა, მებრძოლმა და სხვათა ჭირუარამზე მზრუნველმა...

გამოჩნდა ქართველის დიდი ორატორული ნიჭი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უნარი...

და რათაც უნდა ღირს კარლო ჩხეიძის მოწოდება,

მისი მედგარი სიტყვა მთელ მოწინავე ქვეყნებს მოეფინა...

ასევე მედგრად მოღვაწეობდენ მისი წინა რჩეულნიც...

სამაგიეროდ კი...

სათათბიროდან პირდაპირ ციხე-კატორ-გაში...

არ. ჯაფარიძემ, სევ. ჯუღელმა, ბიკენტი

მესამე



ვე. პეტ. გვავქარი, კარლა ჩხეიძე, ვ. ლ. შერვაშიძე.

ლომთათიძემა და სხ. ტყვეობაში დალიეს ტანჯული სული...

კაკი წერეთელი, ეს რუსეთის ჰარჯამუნტის გენერალი, როგორც უცხოეთში უწოდეს, და მისი სხვა ამხანაგნი კატორგა-ცემბირით დაჯილდოვდნენ...

ვარ. გელოვანმა ბრძოლის ველზე მეომართა მოვლა-ზრუნვაში ჰპოვა სიკვდილი...

სხვებსაც დაღი დასვეს...

აი ათი წლის ნაღვაწი...

ჩვენი დეპუტატების უმეტესობა განსაკუთრებით რუსეთის საზოგადო წესწყობილების შეცვლას ალევდენ ძალ-ღონეს: თუ საერთოდ რუსეთის ხალხთ ეშვლაფათათ რამე, ქართველი ერიც მიიღებს შედარათსო.

მეოთხე სათათბიროში



ვ. ლ. გელოვანი კაკი ჩენეველი (და კარლა ჩხეიძე. სურათი ის. ზემოთ)

მხოლოდ იოსებ ბარათაშვილმა პირველ სათათბიროს ავტონომისტთა სექციაში წამოაყენა საქართველოს ავტონომიის საკითხი და ვარ. გელოვანმა მეოთხე სათათბიროში მოითხოვა საქართველოს ავტონომია...

საერთოდ დემოკრატიულ მოთხოვნრიღებში კი თითქმის შეთანხმებით მუშობდნენ...

განვლილმა ათეულმა წელმა გამოაშკარავა, რომ რუსეთის მოწინავე-მემარცხენე ინ-

ტელიგენცია დამონებულ ერთა მხოლოდ ტკბილი ნანათი ულოლიავენს. ეს გარემოება კი ნათელ ჰყოფს წამებული და მრავალ იმედგაცრუებული ქართველი ერის შვილი რა გზას უნდა დაადგეს სამშობლო ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ...

იოსებ არიმათიელი

უდაბნოს საიდუმლო

(არაბული ლეგენდა)

ალბად თქვენც გაგიგონიათ ეს ზღაპარი. ძველია ის, ვით ქვეყანა მზიურ მოთხრობათა, მაგრამ მაინც მოგიტხრობთ თქვენ მას...

ამბობენ, როდესაც ჰეჯასის გადამწვარ მიდამოებს გამოეთხოვება ცეცხლის მფრქვეველი მზე, გადახრუკულ მადლობებიდან დაპბერავს საღამოსის ცივი ქარი და შორეული დასავლეთი წითელ ცეცხლის კოკონში გაეხეგვა,—ამ ღროს გამოჩნდება თურმე ვიღაც მოხუცი მგზავრი და ნელის ნაბიჯით მიეშურება...

სად? რისთვის?..

არვინ იცის სად, ან რისთვის... და არც თვით ამბობს, თუ სით არის გზა მისი, რას ეძიებს იგი ამ ბნელ, ჯოჯოხეთურ დაწეში.

და დაღის, თურმე—წელში მოხრილი და თითქოს ცის რისხვისა ემინიაო—არ აშორებს თვალს უნაყოფო მიწას და არ იხედება ზევით.

ასე მოხრილი დაღის, თურმე სულ, მოხუცი.

დაღის დამით... სქელი ღამის ბნელ ფრთის ქვეშ, დაღის ღლისითაც და მიყვება მწველი მზის სამარადისო სხივების გზას. და მიღის... მიღის...

ბევრჯელ უნახავთ ის, თურმე, მოგზაურებს, და ბევრჯერ ჩაუვლია მას უხმოთ დასვენებულ ქარავანის გვერდით.

ასე დაღის ის მრავალ წელთა განმავლობაში, წელში მოხრილი, უტყვი და მდუმარე და ბევრჯერ უნახავთ იგი მოგზაურებს.

—ვინ ხარ, ან სად მიხვალ, ან რას ეძიებ?—ეკითხებიან, თურმე, მას, მაგრამ მდუ-

მარებით არის მოცული ბაგენი მისი, და არ იძლევა იგი რაიმე პასუხს.

ამობზენ, რომ ერთ დამეს, როცა ძლიერ ამოსილი მეფის ამაღლა ნადირობის შემდეგ შეშფარებოდა მყუდრო ოაზისს და ტკბილ ძილს მისცემოდა,—ამ დროს დაიჭირა ის ერთმა დარაჯმა და დილით წარუდგინა მეფეს, ვით აფაზაკი ვინმე.

ხოლო არ წასცდა მოხუცს სიტყვა რაიმე; განრისხდა მეფე და სასტიკი სასჯელი მიუსჯა მას.

წამების დროს სიტყვა მან მხოლოდ ორიოდ სიტყვა:

— ვეძიებდი... ვეძიებდი... სიყმაწვილეს... ახალგაზრდობას!..

მყისვე მიატოვეს დარაჯებმა ის და გაეშურენ მეფესთან, რათა მოეხსენებინათ მისთვის ნათქვამი მოხუცისა.

და მოიხმო მეფემ ის უცნაური კაცი... მაგრამ გაქრა იგი, ვითა წყარო უდაბნოს ცხელი ქვიშაში, ვით ნისლი ცხელი მზის მწველ სხივებზე... ბევრი ეძიეს იგი მეფეს მსახურებმა და ვერ პოვეს კვალი მისი.

და მას შემდეგც დადის, თურმე, წელში მოხრილი მოხუცი, დადის დაუღალავაო და ეძიებს უდაბნოში დაკარგულ სიყმაწვილეს.

ეძიებს და დასჩერებია მიწას და არ იხედება ის ზეცისაკენ, თითქოს მისი რისხვის გშინაო...

და დადის... სულ დადის!..

ასე ათავებენ მოხუცი აზრები ამ ძველ თქმულებას და გამოურკვეველი სევდა იპყრობს მაშინ ყველა იქ მყოფთ... ვაჟკაცი გასტკერიან შავ უდაბნოს, ხოლო მოხუცი ეძლევიან მწარე ფიქრებს, რომ გაქრა სიყმაწვილე, რომ შთანთქა იგი უდაბნოს უსასღვრო სივრცემ, ამოაშრო და დასწვა ის მწველმა მზის სხივებმა და უდაბნოს ცხელი ქარი კვილ-ხარხარით ფანტავს მტვერს ოდესღაც ნორჩი სიკბუქისასაო...

ასეთი ლეგენდა დადის აზრების მზიურ შვილთა შორის.

უსათუოთ გაიგონებდით თქვენ ამ ძველ თქმულეს, მაგრამ მაინც გეტყვით მას...

ძველია ის, ვით ქვეყანა, მზიურ თქმულებათა შემქმნელი, მაგრამ მარადის ახალიცაა იგი, ვით ნორჩი თაიგული აყვავებულ სიყმაწვილისა.

6. მიწიშვილი

სასაღსო სტენის მოყვარე



სეთ შაბათს, 26 მაისს სასაღსო სასაღსო სას. წარმ. მმართ. წრე დღესასწაულებს რომანოზ ნიკოლოზის ძის საღაჯიას 20 წ. სასტენო მოღვაწეობის შესრულებას.

რომან. საღაჯია — ვინ არის საღაჯია?

შეიძლება იკითხოს ზოგიერთმა, ვინც დასჯოვებით არ იცნობს მას... და შეიძლება ბევრი ვერც კი იცნობდეს, რადგანაც იგი მუშა და არა რა.

მედიმე გამოჩენილი მსახიობი... დაად, მუშა, სრულიად უბრალო ხელოსანი, რომელსაც არაერთი განათლება არ მიუღია, მაგრამ სტენისა და სასაღსო საქმის სიყვარულს მის გულში დრმად მქონდა და აქვს ფესვები გადგმული...

1887 წ. იგი ჩამოიყვანეს ს. ბანძიდან (სამეგრეოდან) და მიამბრეს სამეგრეო ქარხანაში ხელობის სასწავლებლად. ამ წლიდან დაუხლოვდა სამშობლო ქვეყნის მწერლობას რამაც გულში აღუძრა სასაღსო წარმოდგენების თანაგრძობა: შეუყვარდა სტენა და ამიტომაც წრფელის გულის ასრულებდა უოველ გვარს მინდობილობას, რაიცა სტენას შეეხებოდა. 1891 წ. შეუერთდა ადგილობრივ სტენის მოყვარეთა ჯგუფს, რომელმაც ქალაქის განაბირა უბნებში სასაღსო წარმოდგენების მართვა დაიწყო.

რაც დრო გადოდა, სასაღსო წარმოდგენების საქმე უფრო ფართოვდებოდა, მაგრამ ადგილობრივი პირობები და თეატრის უქონლობა ძლიერ შეეს უშლიდა საქმეს. მიუხედავად ამისა საღაჯიას მხნე და დაუდგომელი გული არ შედრება, არ შეუშინდა არავითარ დაამბრკოლებელ მიზეზებს და სურვი არ შეაქცია სასაღსო წარმოდგენებს.

როგორც საზოგადოთ უოველდღიურ მუშას, თუმცა საღაჯიასაც ძლიერ ცოტა დრო მქონდა თავისუფალი, მაინც თავის თავისუფალ

დროს თავისივე პირადი კმაყოფილებისათვის არ მოუხმარებია, უაფელთვის დარწმუნებით სდგომია სახალხო წარმოდგენებს...

არა ერთხელ მიუტოვებია სამუშაო საქმე და გასდგომია რამელიძე დაბისკენ გზასა... მას სშირად იწვევდნენ ზრავინციებში საქველ-მოქმედო წარმოდგენებს: მაგ. გორს, ახალქალაქს, მეტეხს, ცხინვალს, საშურს, სერაშის, ბორჯომს, ქ. განჯას და სხ.

მიუსუდავით ამისა, რომ სადაჟიას არც ერთ წარმოდგენიდან სასყიდელს არ იღებდა, სშირად შრომა-განჯასთან ერთად თავის უკანასკნელ გროშსაც არა ზოგავდა, რომ სახალხო წარმოდგენების საქმე წესიერ ნადაგზე დასუარებულიყო. 1902 წ. იოსებ იმედაშვილის მეთაურობა-რეჟისორობით შესდგა ავლაბრის სახალხო წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა ავლაბრის განაპირა უბანში (პეტრე-პაულესთან, შურაშუას თეატრში), სადაც ერთი საუკეთესო თანამშრომელთაგანად სადაჟიას იყო და ამავე დროს რეჟისორის თანაშემწის მოვალეობასაც ასრულებდა.

1902 წ. 1906 წ-მდის სისტემატიურად იმართებოდა ქართული სახალხო წარმოდგენები ავლაბარში (როგორც შურაშუას, ისე არაქსიანისუელ თეატრში), სადაც არც ერთ წარმოდგენას ისე არ ჩაუვლია, რომ სადაჟიას მონაწილეობა არ მიეღო, ვიდრე ამხანაგობა დაიშლებოდა. ამხანაგობის დაშლის შემდეგაც იგი არ განშორებია საუკრულ საქმეს და დღემდის სახალხო აუდიტორიუმში, სხვათა შორის შუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში, მონაწილეობს, მის გამოც წინს გაშეგობა სამხალხოებელ წარმოდგენების

მოლიაულო
გზაზე

(გაგრძელება.)
ნ. თ. და ც. № 20

მაშო. ჯერ კი დიდი იმედი მაქვს, დედა! ოქრო რომ აქ იყო, სულ შე მიტკეროდა. შენი პირივე, პირის ფერი კაბა ვადამიკეთებინე. ბევრი აიღონ ხუთი მანეთი ხელფასი, მეტს ხომ აღარა. შემდეგში ერთი ორად გადავიხდი, გენაცვალე. როდესაც ოქროს შეძლებას ხელში ჩავიგდებ.

თეკ. ხუთ მანეთზე როგორ გეტყვი უარს, შვილო, ოღონდ კი ავისრულდეს ნატვრა. (აღგება და სახლისკენ გასწევს) ნეტაი, არ იქნება, ისე მოხდეს, როგორც შენს და ჩემს გულს უნდა. ერთი ქეთინოც გავაბედნიერო. (ქეთინო მრისხანედ შეხედავს) და მერე ჩემი საქმე კარგად იქნება. შე, როგორც იქნება, გავატარებ ჩემ დღეებს. მალე მ.ინც ავისრულდეს შენი გულის წადილი, ჩემო კარგო.

მაშო. არა, ოქრო ჩემია! ნაბღვილად ჩემი იქნება, დედილო! (არაფენი გადაინ)

ქეთინო. (მარტო ჩნება. აქეთ-იქით ისე-დაე, თითქოს რაღაცას ეძებოს და შემდეგ ისევ ხაზბად დაიწეებს ხატვას, თითქოს გაბრაზებულიდ)

გ ა რ დ ა

სურათი გმოთხე

(იგივე დეკორაცია. შუადღეა)

მაშო და ქეთინო.

ქეთინო. (ამზადებს დასახატ ქაღალდს, წამლებსა და სხვ.)

მაშო (შემოდის) ქეთინო, განა დღეს მოვა ოქრო? ჯერ ვერ დაამთავრა ჯეროს ხატვა?

ქეთ. ცოტა-ლა დარჩა. მალე დაამთავრებს! მკონი დღეს მოვა.

მაშო. მაშ მე მარიკასთან წავალ!

ქეთ. რადა, რისთვის უნდა წახვიდე?

მაშო. მეტი ვიქნები!

ქეთ. რას ლაპარაკობ, მაშო? საიდან წარმოიდგინე? იქნება გგონია, ჯეროს ხატვა იმიტომ მოიგონა, რომ ჩვენზე ახლოს იყვეს?!

მაშო. განა საეჭვოა?!

ქეთ. იქნება გგონია, რაიმე მიზნით დაიარებოდეს? ხომ არა ფიქრობ, ის შენი გულისთვის ან ჩემთვის მოდიოდეს? ოქროს სურდა დაეხატა ჩემი ჯერო და დახატა კიდეც! ვერ წარმოიდგენ, მაშო, რა საუტხოვოდ დახატა! ცოტა-ლა დარჩა, გაამშვენე იერებს. დღეს იქნება ჯერო სახატავად აღარც დასქირდეს და თავისუფლად იხტუნებს. მეტად ცელქობდა ხატვის დროს!

მაშო. შენ სიტყვა ბანზე ნუ აავდე! ხომ

ნას უმართავს. რადენათაც რ. სალავაას დირსი ასეთი წარმოდგენისა, იმდენად წრის გამგეობას მადლობის დირსი, რომ სახალხო საქმის ერთგულ მუშავეს დირსეულ პატავს სტემს და სხვა-პრავად მაინც აჯილდოვებს...

სალავი და გამარჯვება სახალხო საქმისათვის თავდადებულ მუშაკთ.

ალ. ბაჯიაშვილი

*
**

დღე, იგრგვინოს ბუნების რისხვამ, შესძრას სამყარო, შეატორტმანოს; ყოფნა-არ-ყოფნის დიადმა კიბხვამ ყველა მაშვრალნი დაამქმუნვაროს; — მხოლოდ ნუ ჩაჰკლავს მათში სურვილსა, მომავალისთვის კვლავ ჰძგერდეს გული! ნუ დააკნინებს ბრძოლის წყურვილსა, დღე, ისმოდეს ხმა გაბედული!

ალ. გერასიმოძე



ფოზეფ რები

ფრანგი, საფრანგეთის საახლო მუზეუმის მდივანი, მრავალ ენათა მცოდნე (იტოლა ქართული, სომხური, სპარსული ენებიც), აქვს სხვა და სხვა თხზულებანი, საქართველოს შესახებაც. ცოლად ჰყავდა ქართველი კალატაზიშვილის ასული და საქართველო დიდათ უყვარდა. გარდ. და დიკრძალა 18 მაისს თბილისში.

ვიცი ვისთვისაც დაიარება ოქრო!

ქეთ. ვისთვის?

მაშო. შენთვის!

ქეთ. ჩემთვის?! რა უცნაური ხარ, მაშო! ეგ საიდანღა შეთხზე? ოქრო ისე მეგობრულად მიყურებს, როგორც, თავის საყვარელ დას!.. წმინდა გულით მესაუბრება ხოლმე ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე და აი შენ კი რა დასკვნა გამოიყვანე.—იცი, მაშო? ის რომ ლაპარაკობს, სულ გინდა, ყურადღებად გარდაიქცე. დაეწაფო მის დიად აზრებს, შენც გინდა ეძიო, მიუწლომელი, მსოფლიო სულის კვეთების იდეია. ის რომ ლაპარაკობს თავის საყვარელ სამშობლოზე, კაცობრიობაზე, მაშინ იმის სახე სრულიად იცვლება, მისი შუბლი თითქო ორკეცდება, მისი ტანი იზრდება, მძლღდება და, თითქო თვალებიდან ნაპერწკლებს აკვებსებს...

მაშო. და იმის ნაპერწკლები შენ მოგხვდა გულში!

ქეთ. არა, მაშო! მისი ნაპერწკლები შენ გეკუთვნის და არა მე! აკი შენ გაქცევდა ყურადღებას?

მაშო. ჩემი ადგილი ახლა შენ დაგილოცე...

ქეთ. მე დამილოცე! მე? (არ იცის რა სიტყვას და შეშდევ უნდად იტყვის ანაკრამი შეიქნებდა) რომ ჩამოგეცალო, აღარ დავე-

ნახვო და წინანდებურად გავხდე ისევ ნადირი, მაშინ ეს ადგილი ხომ დაგიბრუნდება?

მაშო. ვეღარ! ის ადგილი ეხლა მხოლოდ შენ გეკუთვნის. ეგ ადგილი ან შენ უნდა დაიქირო და ან კიდევ სხვა ვინმემ... მაგრამ არა! შენ არ უნდა იყო ბედნიერი შენ, ჩემო ძვირფასო!

ქეთ. შენ კი ვეღარ დაიქერ?

მაშო. ვეღარ!

ქეთ. რატომ?

მაშო. აღარ შეიძლება.

ქეთ. ვინ არის მერე დამნაშავე?

მაშო. ბედი!

ქეთ. ოხ არა მაშო, მე ვარ დამნაშავე, მე უბედური. (ქვითინებს)

მაშო. (გულზე მიიყუდებს დას) ნუ სწყუხარ, ჩემო დაო, მერწმუნე, სულ ერთია ჩემთვის ოქროს ყურადღება თუ უყურადღებობა. მეტადრე მაშინ, როდესაც ვხედავ, რომ შენ მოსწონხარ... მე იმისთვის აგრე რიგად გაგიყებული არა ვყოფილვარ!

ქეთ. ხომ მოგწონდა?

მაშო. ეგ რა უყოთ მერე... ვხლაც მომწონს... ოღონდ შენ ბედნიერი იყავ, ჩემო საყვარელო, შენ გაიხარე და მეც დავემორჩილები ჩემს ბედსა. თუ ბედს ჩემთვის კარგი უნდა, არ გადამაგდებს უფსკრულში, არ ჩამაგდებს ცულს მდგომარეობაში. არაცა კაცსა

ნ ა რ ნ ა რ ი

გ-ნი ქ-ს

— ნარნარო! ამღერებულის ხმით ეძახდა მწვეანეთ შედებილ აივანზე მოკრძალებით მდგომი ვანო.

ნარნარო კი მდიდრულად მოართულ სასტუმრო ოთახის კუთხეში ყვაილინ ვახასთან მოღიმაირი იღვა და ყვაილთა ფერებს ახამებდა. თოვლივით თეთრს ტანისამოს ქვეშე ორი ბროლის ძუძუ გამოსჴვივოდა და, ვით მოკამკამე ტბაზე ორი ცქრილა პატარა გემი, ოღნავ მიმოკურავდა ზვიად მკერდზე.

ფანჯარასთან იღვა ვანო და გარეტიანებული შესჴქეროდა კუთხეში ანთებულ შვენებას.

— ნარნარო! ჩაკლულის ხმით ხელმეორეთ მიმართა ვანომ.

— მობრძანდით, კარები ღიაა. იყო ნარნაროსაგან თავაზიანი პასუხი.

— ნებ ს მრთავთ?!

— მობრძანდით. ვანო მოხდენილად მივიდა, ნაზად მიიღო სათუთი ხელი ნარნაროსი ცეცხლელულ ბაგესაკენ და ხანდაზმით აკოცა.

— ვანო! შენიშნა შემკრთალმა ნარნარომ.—მაგვარი კოცნა მხოლოდ ლავრენტის შეუძლია და არა მეგობარს.

— ნარნარო! თუ გახსოვს, პირველად ვანოს შეჭფიცე სიყვარული. ლავრენტი სიყვარულის მეორე სიტყვა იყო. ორპირობამ სიკვდილი მარგუნა, ღალატმა წამების ჯვარი ექვს წელიწადს მატარებინა... ნარნარო! თუ

ბედმან მისცეს—დასჯერდეს და მას უბნობდესო“. ხომ გაგიგონია. ეხლა შენ წინ წინანდელი მაშო აღარა სდგას, რომელიც აგრე რიგად არ დასდევდა სხვის სურვილს და ყოველ შემთხვევაში ამისა გაიძახოდა. შენი მაშო გამოიცვალა, გონება მოიკრიფა და ცხოვრებასაც ისე ბავშურად აღარ უყურებს, როგორც წინად. (უნდა წავიდე. წასვლას დაახამებს)

ქეთ. სად მისდისხარ, მაშო!

მაშო. ოთახში.

ქეთ. არა, ნუ წახვალ, აქ დარჩი!

მაშო. არა, არ შემიძლიან! (გადის საჩქაროდ)

ქეთ. (მარტო დაჩნება. გაშტერებული სდგას. შერე ხელს გადასვამს შუბლზე. აქეთ იქით ისე-ღება, ეტეობა დეღავს)

II

ქეთინო და ოქრო.

ოქრო. (საჩქაროდ შემოვა. ხელს ჩამოართმევს). კნიაჲნა, უქეთოთ ხომ არა ბრძანდებით? (მის სახეს მიაჩნდება) შემიძლიან მერე მოვიდე!

ქეთ. რასა ბრძანებთ? არა! განაგრძეთ, დაამთავრეთ ხატვა. მე კარგადა ვარ. ცოტა თავი მტკევა, მაგრამ არა უშავს რა, გამოვილის. დაბრძანდით, დაიწყეთ ხატვა!

ოქრო. მაინც რაღა დამრჩა დასახატი?

დავამთავრე კიდევ?

ქეთ. წავალ ჯეროს შემოვიყვან.

ოქრო ნუ გინდათ. საჭირო არ არის. დღეს მე არა მცალიან. მარტო გიდავთვალთვარებ, რომ უშნოთ არ გამოვიდეს. ამ ორ დღეში კიდევაც მოვჩივები.

ქეთ. მაშ არ მოვიყვანო ჯერო?

ოქრო. ნუ მოიყვანთ. დღეს თავისუფალია თქვენი ჯერო! მეტად დავტანჯე საწყალი!

ქეთ. რა უშავს!

ოქრო. ძალიან გონიერი რამ არის! ძალიან გიყვართ? (დაიწუებს ნახატის სწორებას)

ქეთ. ერთად-ერთი ჩემი მეგობარი ეგ არის და, რასაკვირველია, ძალიან მეყვარება. ძალიან შემეჩვია, მასაც ვატყობ ვუყვარვარ, ჩემი მორჩილია. მეც სამაგიეროდ სიამოვნებას არ ვაკლებ! წავიყვან ხოლმე რომელიმე ციკაბოზე, საცა მარტო თხები დახტიან სიმკვირცხლით, საცა ჰაერი სუბუქია, საამო! სადაც სუნთქვა უადვილდება აღამიანს! იქ შევაქმევ ნამიან, გემრიელ ბალახს! მეტად უყვარს ჯეროს სეირნობა და მეც ამაში უკან არ ჩამოვრჩები ხოლმე.

ოქრო. (რადგან მოაკონდება და ჴეთისვს) მართლა, კნიაჲნა, დანაპირები?

ქეთ. რა? არ მახსოვს!

ოქრო. დაგავიწყდათ?

ჩემი გული სიყვარულის ტრაპეზზე ზვარაკად მოტანილი უმანკო არ იყო, რად შეიწირე... ნარნარო, რად მომპყრევენი შენს წინაშე მუხლი, ხელედაპყრობილს სიყვარულის ლაღად რად აღმამხდინე. თუ მეტყვიდი განრისხებული ქალღმერთი გასწი, გამეცალეო... მოიგონე. ერთი წუთით შეეხე წარსულს, იგი მახვილია, უსამართლოდ დასჯილ ვანოს თვალს ვერ გამისწორებ... ნარნარო. აი ეს სურათი, გახსოვს როდის შეგთავაზე? გავგონდება გულის აღში გამომწვარი სიტყვები? წაიკითხე...

— უსამართლო ხარ, ვანო! შენ კარგად იცი შენ სასჯელში ნარნაროს ხმა არ შეუტანია.

— საწუგეშებელი შენს სიტყვებში, ნარნარო, არაა-რა.

— წარსულს ნუ ამეტყველებ, ვანო! საკმაო მოგავანო, რომ დღეს შენს მეგობარს ვიკუთვნი.

— მეგობარს! თავის ქნევით მიუკო ვანო.—მეგობარს, რომელიც, სავალალოდ... ომის მახვილია...

— სთქვი, ვანო...

— ნუ ჰღელავ. ნარნარო! მეგობარი დღეს...

— დამთავრე, ვანო! გაძლევი სიტყვას დიდ უბედურებას მშვიდად შეეხვდები, თავშეკავებით. არწმუნებდა ჩაფერფლილი, ზარნაცემი ნარნარო.

— ლავრენტი...

— მოკვდა!! საშინლად წამოიკვილა ნარნარომ და თვალები შიშის მოლოდინში გაეყინა.

ქეთ. (აღგება. შივა მავიდასთან, სჯდა ოქრო ზის, ქაღალდებიდან ამოიღებს ნახატს და შისტუმს ოქროს)—სრულიად დამევიწყდა: დავიშადეთ, აი ინებეთ! (მოშორებათ ჩამოყვდება სკამზე ისევ)

ოქრო. (დააკვირდება. ხატავს და მერე ადტაცებით წამოიძახებს) კნიაჟნა! როგორ დავიჯერო, რომ ეს ნახატი თქვენი ხელოვნებაა?

ქეთ. (დამიღით) ნუ დამცინით, კნიაზო.

ოქრო. რასა ბრძანებთ! წმინდა ხელოვნებაა და დიდი ნიჭიც ატყვია ამ ნახატს. ნება მიბოძეთ გიწინასწარმეტყველოთ დიდებული მომავალი. ეს თქვენი ხელოვნება აგამაღლებთ და გაგაბედნიერებთ!

ქეთ. ბედნიერად?! ბედნიერი, კნიაზო, ვიქნები მაშინ, როცა ჩემი მხატვრობა ნაყოფს გამოიღებს, შევიძლებ მის საკადრისს სამსახურს, ბედნიერი ვიქნები მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში შევხვდები ნამდვილ ქვემარტებს, განათლებულთ, თავშეწირულთ, რომელნიც სიცოცხლეს შუაზე გამოყოფენ, რომელნიც აღმოშიჩნენ ღონისძიებას, დაშეხმარებიან ჩემს ლტოლვა მისწრაფე აში რა უნდა ვყოფილიყავ, ღმერთს რომ არ მიენიჭებინა სურვილი ხატვისა, წყურვილი წმინდა ხელოვნებისა!

ოქრო. ვაშა, ვაშა! კნიაჟნა! სულით და გულით ღმერთსა. ვსთხოვ თქვენი მისწრაფება

მალე შეგსრულდებოდეთ. სასიამოვნოა თქვენი აზრი, თქვენი მისწრაფება; სჩანს ჯერ კიდევ მოგვებოვებიან ნამდვილი ქართველი ქალები, ნამდვილი დედები! თქვენ უნდა გაუნათოთ ლამპარი, ჩვენს მომავალ ქალებს და აჩვენოთ მაგალითი, დაანახოთ თავიანთი მოვალეობა, დანიშნულება!

ქეთ. არა, მგონია, რომ მაგ უმაღლეს წერტილამდის მივახწვით!

ოქრო. არა, თქვენ უსათუოთ მიახწევთ თქვენს მიზანს და გაიმარჯვებთ კიდევაც. (მოსაწვენი სიჩუმე. ოქრო ასწორებს ნახატებს) კნიაჟნა, სთქვით რამე. რას გაჩუმებულხართ?

ქეთ. რომ დავიშალოთ?

ოქრო. პირიქით, ხალისს შემძენთ. ტკბილი ხმის გავონება გულის თქმას ეგონება: მუსიკას უკრავენ ჩემს გასახალისებლად...

ქეთ. თქვენ დამცინით!..

ოქრო. დამცინით, მშვენებავ! (თქვაჯებს გაუშტკრებს)

ქეთ. (შეხედავს ოქროს და მერე ძიძს დახრის თავს)

ოქრო. (მცირე ზაუზის შემდეგ) ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

ქეთ. ჰო, მაგრამ...

ოქრო. მაგრამ რა?

ქეთ. ცოტა ხნობით!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

- არა, დამშვიდდი.
- სტრუობ, ლავრენტი მოკვდა.
- ჰელდავ, ნარნარო დაწყნარდი.

ნარნაროს მწარე გმინვა აღმოხდა და მღუ-
ლარე ცრემლები შეფეთქილ დაწვებზე ჩამო-
ედინა.

— ცოცხალს ცრემლებს რად აფრქვევა,
ნარნარო! ლავრენტი მძიმედ დაიქრა! — ისეთი
სახით გამოუცხადა ვანომ, ნარნაროს აუცი-
ლებლად ლავრენტის სიკვდილი უნდა ეგუ-
ლისხმებია...

— ლავრენტი მომიკლეს, ჩემი ლავრენ-
ტი... გულამოსკვნივ სტიროდა ნარნარო და
მოჩუბჩუხე ცრემლები ფიქალ დაწვეზე ემსხვ-
რეოდა.

ნარნაროს ცრემლმა ვანოს ცრემლიც გა-
მოიწვია, ვანოც ააქვითინა...

II

III

ქერიდან ჩამოშვებულ, ორად გაყოფილ
ქსოვილების შუა, კრკილა სარკის წინ, სა-
პირფარეშოსთან მომხიბვლელად იდგა ნარ-
ნარო და მსუბუქ პერანგის ქუქრუტანებში
გატარებულ ვარდის ფერ ლენტს ლადის ფიქ-
რით იფუჩუჩებდა. ბანტს კვანძავდა მოცინა-
რი. ისეთი მწველი ტრფილებით გატაცებუ-
ლი, თითქო მის გულში ერთი თვის წინედ
გლოვის ზარი არ ჩამორეკილიყოს, თითქო
ხანგრძლივ მოლოდინის შემდეგ ქალწულს,
გარიჟრაჟზე მზე ვაჟი უნდა უხვედროდა და
მწველი გრძობით ნეტარებაში დაფუფქული-
ყო... მშვენების უკანასკნელი სიტყვით მორ-
თულს, გრძობის სიო წერწეტა წელს ურ-
ხედა. ვანოს გარს ევლებოდა მისი ფქრთა
ქარავანი.

— ნარნარო! დადაგული გულით აღმო-
კვეთილი ხმა ვანოსი შემოიქრა ღია ფანჯრი-
დან. ნარნაროს არ ესმოდა, ყვავილთ ტბაში
დალივლივებდა.

— ნარნარო! რას შეუბყრიხარ აგრე თავ-
დაუხწვევლად.

— შორიდან მიხმობ, ვანო! მიუგო ნარ-
ნარომ ისეთი ნაზი გამოთქმით, რომ ვანოს
გული აღტაცებისაგან ათამაშდა.

— ვანო! ეხლა შენ ხომ არ მიხდი სამაგიეროს.
— ვანოს არ შესწევს ძალა შური იძიოს...
ვანო ოთახში ფრთხილად შევიდა და
შედგა.

- გიკვირს, ვანო?!
- სახეზე ნალველი დაგტყობია.
- ნალველი გაიფანტება... სთქვა ნარ-
ნარომ და ისე ძლიერ ამოისუნთქა, გეგონე-
ბოდათ გულიც თან ამოჰყავო.

— ნარნარო, დაიწყო სიყვარულის ქედ-
ზე აფრენილმა ვანომ, ჩემს დაბურულ ცხოვ-
რების მთას ჯანდი ეცლება... მომეც ხელი.
გამომიწოდე უმანკო ბაგე, რათა დაწვევა სუ-
ლის გამწამებელი ეკლის ხლართი, რათა სი-
ყვარულის კეკლუც განთიადს ფრთებ გაშ-
ლილმა სიცილი შევაფრქვიო... ნარნარო!
უსიტყვო ვედრებით გაუწოდა ათრთოლებუ-
ლი ხელები და ნარნაროც მოწყვეტილად ჩა-
ეკონა. მწველმა კოცნამ სულის თქმა შეუ-
ხუთა, გრძობას ფიანდაზი გაუფინეს, ოდეს
კარების ზარმა შეუწყნარებელი წკრიალი მორ-
თო. ნარნარომ სუროსავით ჩაწნული ბაგე
შეაშორა და გაფითრებულმა, გულის ძგერით
ვანოს მიმართა.

— ვანო! გახედე, ფოსტალიონი იქნება.
ვანო წამს შებრუნდა, უნდოდა მარდად
წაქულიყო, მაგრამ ფეხი არ მიჰყვა.

— ვანო, რაღაც საშინელებას ვგრძნობ.
ასე მგონია მკვდარი გაცოცხლდა... საყვედუ-
რი მესმის, მაგრამ ვისგან—ვერ გამოვრკვე
ულვარ... ვანო, დამიფარე, თუ რაიმე მომე-
ლის...

... კარების ზარი არ ისვენებდა. მის
წკრიალში რაღაც შავი საილუმლოება ესმო-
და ნარნაროს და სულს უხუთავდა...

- ვანო! შენ რაღას შეუბყრიხარ...
- მე თვით არ ვიცი, ნარნარო, რამ გა-
მახევა... ისე ვდგევარ, თითქო ჩემს თავზე
ცა ინქშოდეს... რა სისულელეა...

უკანასკნელი სიტყვა გაჯავრებულმა წა-
მოისროლა და გაეშურა.

— Парлаф №... სიჩქარით წაუკ-
ითხა ვანოს და დებეშაც გადასცა. 'ვა-
ნომ აკანკალეზულარს ხელით მოაწერა, ჩამო-
ართვა დებეშა, საჩუქარი მისცა და დაბრუნდა.

— ერთმა უმნიშვნელო მოვლენამ სრულიად მოსწამლა უუნეტარესი ბედნიერება. რამ მოგვადუნა აღტაცებულნი, რა ძალამ გაიზინა ჩვენში ისეთმა, რომ სრულიად დასწყვიტა ურთიერთ შორის გაბმული შეხმატკბილებული სიმები, — ვერ გამოიგია.

— ვანო! უეცრად მიმართა დაოსებულმა ნარნარომ, გახსენი დებეშა და წამიკითხე. ვანომ წაავლო ხელი დებეშას, მაგრამ გადაწყვეტილებამ უმუხთლა. რალაც გამოურკვეველი გრძნობა ხუთავდა მის სულს... ვანომ დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, როგორც იყო მოიკრიბა ძალდონე, გაუხია შემოკრული ქალღლი, გაშალა და ხელები დაეშვა.

— ნარნარო! რაკი ეს უეცარი დებეშა, შესთხოვდა ენამოკვეთილი: აგრე თავზარს გცემს, გემუდარები. ცნობის გარეშე დავტოვოთ.

— არა... მომეცი... გადავიკითხო... ვანოს დებეშა ხელიდან გაუვარდა, ნარნარომ ხელი წამოავლო და თვალთ დაბნელებულმა ტანჯვით ამოიკითხა შემდეგი: „მოვდივარ. მიმიღე და ჩამიკონე. შენი ლავრენტი“.

გამწარებული ნარნარო ხმას ველარ იღებდა. დაწაფებული კოცნიდა დებეშას და ცრემლით თუთქავდა, გამოუთქმელ სიტყვებს სწერდა, ეხვეწებოდა უნამუსო საქციელი ეპატიეზია და მიყენებული შეურაცყოფა უტანჯველად გადაეტანა.

— ნარნარო...

მწუხარეთ გაისმა ვანოს ხმა... სურდა კიდევ ეთქვა რალაცა, მაგრამ ნარნარო შეშლილივით წამოიქრა, დაემხო ვანოს წინ და მწარედ შესტირა:

— გამიტაცე, გამიტაცე შორს... შორს...

გ. დათიაშვილი

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

მეგობარო!

სამწუხაროთ, ბ-ნი თეზბიტელი სხვაგან წავიდა... ამის გამო განვიზრახე მის მაგივრად შენთან წერილების წერა, მასზე უკეთესად

ვიცი აქაური ამბები, და „მეც ქემიქრის კალამი“... მაშ რავე გგონია!

ესაა სამწუხარო, რომ საშუალო სასწავლებლებში ძლიერ ნაკლებად არიან ქართველ მუსულმანთა შეილები, არა თუ იქ, არამედ სხვა უფრო მდაბიო სასწავლებლებში თითო-ოროლა ქართველი მუსულმანი სწავლობს.

ეს სამწუხაროა იმის გამო, რომ სწავლავანათლება ერთად ერთი სახსარია, რომლითაც გონების სიბნელე გაიფანტება, და ქეუის სამფლობელო სინათლით აღივსება. ჯერ კიდევ ბერანემ სთქვა: ცოდნა—სინათლეა, ცოდნა თავისუფლება, უვიცობა კი მონობაა. უვიცი ადამიანი მართლაც სხვისი მონაა, სხვისი მორჩილია. მას არა აქვს საკუთარი ცოდნა, მოსაზრება, მსჯელობა; საითყენაც ქარი ჰქრის, იქითკენ წავა... დღეს შენია, ხვალ-სხვისია. კარგისა და ავის გარჩევის ნიჭი არ აქვს... ამას თვით უვიციც გრძნობს, მაგრამ ზოგი უვიცი რომ გრძნობს, მასთანვე სცდილობს თვითაც ისწავლოს რამე, ცოდნა შეიძინოს, ან შეიღს მაინც ასწავლოს, რომ ის სხვის შემყურე, სხვისი ტიკინი არ იყოს ცხოვრებაში... ბევრგან მუსულმანებმა შეიგნეს ცოდნის დიდი საჭიროება, და ხელი მიჰყვეს განათლებას. ასე იქცევიან იაპონიის და ეგვიპტის მუსულმანები, რომელნიც ცოდნის მიღებას სთვლიან თავის კეთილდღეობის ერთად ერთ საიმედო წყაროდ... გამოფხიზლების ნიშნები ეტყობათ ჩვენს ქართველ მუსულმანებსაც, რომელთაც დღეს სურთ თვისი „დედა ენას“ საშუალებით ცოდნა შეიძინონ და გვერდში ამოუდგენ სწავლით თვის თანამომე ქრისტიან ქართველებს. მაშ გზა დაულოცოთ ჩვენი ძმების ამ შეგნებას... ამ შეგნებაზე აღშენდება მათი კეთილდღეობის ტაძარი, და მომავალში ისინი მწუხარებით მოიგონებენ იმ გავლილ დროს, როდესაც ისინი ისხდნენ ბნელში და წყვედიადში და არა გაეგებოდათ რა არც დედამიწისა და არც თავის თავისა... როდესაც ისინი იყვნენ ვითარცა ლერწამი, ქარისაგან რხეული...

შენი მეგობარი ჩაქუჩი

ყვავილები

ნუ დამიტირებთ!..

სალამოს ჟამზე ერთი წუთით ჩასთვლიმა სიომ,
 მთვარე სპეტაკი მორცხვად ღრუბლებს ამოეფარა
 და ჩემს სამშობლოს, ჩემს საყვარელ ტურფა სამოთხეს
 შავი აჩრდილი გადმოაწვა, გადმოეფარა...
 არე მიყუჩდა, გაირინდა მთლად ტყე და ველი,
 არეს ჩააკვდა მღუმარება სასაფლაოსი
 და... მე კი მაინც არ ვდრკებოდი, მაინც ვიბრძოდი
 სევდის ისრებით დანაკადი და დანაოსი! .
 ჩემი სიცოცხლე ხომ ბრძოლაა და ეს ძიება
 სანამ ვერ ვპოვო სული ჩემი დამშვიდდეს განა,
 სულის ძიებამ ეპეით სავსემ სასტიკი ბრძოლით
 განა ვერ ჰპოვოს სიცოცხლეში აღთქმის ქვეყანა?!
 და თუ დავსუსტდი, თქვენს ლაწვებზე ნუგეშის ცრემლი
 მწარე ტკივილით სულ ამოდ ჩამოგორდება,
 ნუ დამიტირებთ, რადგან ჩემი სულის ძიება
 მრისხანე ეწიით კვლავ ცისკრის ჟამს განმეორდება!..

ვეფხო-ფშაველი



პრაპ. ირ. ლუარ. ხელაძე

გასულ წელს გიმნაზიის მე-7-ე კლ-ან სამხ. სასწ. გადავიდა, იანვარში პრაპორჩიკობა მიიღო და ტყვიის მტყორცნელთა კომან- დაში გამწესდა. დაიღუპა ოსმალეთის სა- ზღვარზე მამაცურად არძოლის დროს, 25 აპრ. 19 წ. იყო.

როდემდის იქნება ეს სავალალო დრო?

(ვლად ღარჩიაშვილის გარდაც. გამო)

„**ლანჩხუთი.** ღრმით დამამწუხრა მოულოდ- ნელმა ამბავმა, ვლ. ღარჩიაშვილის უცხოეთში გარდაცვალებამ. მასში დავკარგეთ ამხანაგი მე- ტათ გრძნობიარე და მეღვარე, რომელიც ჩვენ ბიზრში არ გვეთანხმებოდა, მაგრამ მოწინა- აღმდეგეებისაკენ არ მიდიოდა. ეს მისი სულის ობლობა შეადგენდა მის ტრაგედიას და მან ეს თან ჩაიტანა საფლავში*.) დემოკრატია მასში იკლოვს მისთვის მებრძოლს და მისი უფ- ლების პატიოსან დარაჯს. ნ. შორაღანი“.

როგორ მოგწონთ სახ-კასმული სიტყვები: „ჩვენ ბევრში არ გვეთანხმებოდა“, „სულის ობლობა“, „ტრაგედია“ და „საფლავი“?!

დამუთანსებით, რომ ჩვენ, უკიდურესი მე- მარცხენენი, ვაბრძვიით სიტუაციის, რწმენისა და აზრის თავისუფლებისათვის. არ ვინდობთ ამაში

ჩვენს მოწინააღმდეგეს, რაზედაც უთვალავი მისხვერპლიც იწინება ჩვენგანზე; ხოლო თუ ვინ- მე ჩვენგანი გვერდში არ ამოკვიდება და თავი შესაწირათ არ დასდო, ჩვენ ის გვეზიზღება, მას მოსისხლე მტრად ვთვლით, თუ გინდა იგი ჩვე- ნი ძმა, მეგობარი, მეზობელი და იდეური მო- წინააღმდეგე იყოს.

ამავე დროს ჩვენ კი ისეთი უფლობელი ვართ, ისეთი გულზვიადი, ისეთი შეუბრალებე- ლი, რომ უკეთუ რომელიმე, ჩვენმა მეგობარ- ამხანაგთანმა, რომელიც 20 საკითხში ჩვენი თანამოაზრეა, ხოლო მე-21-ში კი თავისი საკუთა- რი აზრი აქვს და ეს აზრი უნდა სხვათაც გაუ- ზიაროს, მათაც თავისი მსჯავრი დაადებინოს სა- კუთარ აზრზე, ჩვენ, მისი ამხანაგები, ამის სა- შუაგულსა და ნებას არ ვაძლევთ და გულშივე გუხშობთ, სიცოცხლეში სულით ობლოდ ვხდით,

*) ხაზი ყოველგან ჩემია.

ავტ.

ცხოვრებას ტრაგიდიად ვუქცევთ და უწამლავთ და ბოლოს კი საფლავში ვატანთ თან!

და, ჩვენ ვიბრძვიით სიტუაციას, რწმენის, აზრისა და ზიარად თავისუფლებისათვის, მაგრამ როცა ამ ბრძოლით ბატონობას ვივადებთ ხელში, ჩვენ თითონ ვაღალი ვხდებით, აზრის გამოთქმის ნებას არ ვაძლევთ და უდრავით საფლავში ვისტუმრებთ...

კარგი დამახსოვებელი და ტირილი კი ვიცით. ამაში კარგი ვერ გვაჯობებს.

შერეე რავედნი ვარდება ასეთს ტრაგიდიაში? რავედნი სულით ობოლი და უდრავად დამახსოვლი, რომლებსაც თავისი აზრები სხვებისათვის ვერ გუზიარებიათ? — სამწუხაროდ და სავალალოდ — ძლიერ ბევრი — ან კი რა ქქინან, თუ თავისივე ძეგლი, თავისივე ამხანაგები უკრძალავენ და უსმობენ საკუთარ კეთილშობილურ აზრის გამოთქმას, სხვებისათვის გუზიარებას?!

მართალია ჩვენი ახალგაზრდა მკაცრნი. ჩხაკვადე, როცა ამაბას:

ან ვით გაიხარება თავისუფლების შვილი იქ, სადაც შეუქმნიათ ნათელ აზრთა ბორკილი, სადაც: ნება, მიზანი, ჩიხში მოუმწყვდევი და წმინდა სიყვარულში შხამი ჩაუნთხევიათ?!

ამ ნიადაგზე რავედნი ხანია თვალივინ ვადევნებ ჩვენში შემდგარ სხვა და სხვა ჯგუფის ბეჯადებს და მათ „მოღვაწეობას“ და ჩვენსა სავალალოდ უოჯვლკან მხოლოდ ვხედავ დაწვეული „კომერცის“, აზრების ვაჭრობას, მისს ვიდვან-გაუიდვან... მრავალი ფაქტის მოწამე ვარ, თუ როგორ თავ-თავის ქანტზე აკეთებინებენ ერთი თუ მეორე ჯგუფის ბეჯადები ჩვენს მწერად-შოეტებს და სხვებს თავის ნაწერებს. და, და, მოწამე ვარ ამაბებისა და თავს ვეკითხება: ნუ თუ ვეგდა ეს იგივე ბატონობა არ არის? ნუ თუ ახალი ბატონები მთელს ახალგაზრდობას ძველი ბატონებზე ვაძლავ არ იხდიან? ნუ თუ კიდევ დიდხანს ვატანს ეს სავალალო დრო?!

ნუ თუ ჩვენი დუვიწმენა ღაღად ამ სავალალო დროის ერთი ნადრევი მსხვერპლთაგანი არ იყო?

„— ეჰ, სამშობლოვ, სამშობლოვ! იტირე აწ ობოლი, უდროოდ მოწყვეტილი შენი ვარდის ფოთოლი, იმან შენთან ვერ ჰპოვა აზრთა თავშესაფარი, ის მარტო დადიოდა, როგორც ელეაზარი!“

გულდამწვარი მეგობარი

ქართული მუსიკა

(სიმღერა ვალობა)

(დასასრული იხ. „თ. და ც. № 20)

არიან ისეთი მუსიკოსნი და არა მუსიკოსნიც, კერძო პირნი, (უფრო განათლებულნი და მაღალ წრიდამ), რომელნიც ქართულს, ძნელდ ასასრულებელს, რთულს სიმღერა-სავალობლებს, რისთვისაც საქირონი არიან მათთან ბუნებით შესრდილნი და მხნე მუშაკნი, სწორედ იმ სირთულისა და სიმთელისა გამო ნათლავენ ამ დროის ვითომ სრულიად შეუფერებელ და „მხეცური მუსიკა“-დაც; საქმე კი სულ უბრალოდ აიხსნება: არ ძალუძთ ჩვენი ასეთი რთული ვოკალური (სიმღერა-ვალობის) მუსიკა ვაიცნონ, უნაკლულოდ გადაიღონ და თვით მუსიკას კი იხსენიებენ „მნაირ უპატიოდ!..

ჩვენს ბუნებით სეტად საამო, მარგალიტებით სავსე სიმღერა-სავალობლებს ათასნაირად კორტნიან, სჯიჯგნიან, ასადავებენ, თავინთებურად ასხვაფერებენ, უსპობენ ხალხურ გემოვნებას, ვითომც ყოვლად უვარგისს, „ალაზათიანებენ, ამშვენიერებენ“, მუსიკის კანონებზე აწყობენ და ისე სთავაზობენ ჩვენს საზოგადოებას. მოდიოთ და ხელი შეუწყეთ ამისთანა დამუშავებელ ქართულ სიმღერა-ვალობის ვავრცელებას!

უფრო სასურველია და სასარგებლოც შემოღება ჩვენში იმ ვარ, წმინდა ევროპული კილოებისა, როგორც ჰქონდა შემოღებული თავის ვუნდის რეპერტუარის (პროგრამის) სხვა და სხვაობისათვის განსვენებულ იოსებ რატილს, მაგ. შემდეგი სიმღერები: „აღსდეგ ვმანთ-გმინო“ (ფინლიანდიელებს მარში) „ნუსხუსით ჩამობოდა“ (შვედების კილო), „მიდას ვეში“ (მუს. მენდელსონისა), „ლაყვარდ ცაზე“ (ჩეხური კლო) და სხვა მრავალი ნამდვილი ევროპული სიმღერები ქართული ტექსტით (სიტყვებ-ლექსებით); რათა ქართველ მომღერალ-მვალაობლებმა, საზოგადოებამ და ხალხმა ვაიცნონ სხვა ეროვნების ხალხის მუსიკაც, როგორათაც ჩვენი მსახიობები უცხოელების პიესებს; მწერლები სხვათა ეროვნების ლიტერატურას და სხვ.

ჩვენს მდიდარ ხალხურ, ხალხისავე შექმნილ სიმღერა-საგალობლებში კი „ვეროპიზმი“-ს შეტანას სხვა გემოვნებაზე მომართვად წყობა ჰქვიან, გადაგვარება-გადარჯულება, და არა განვითარება და წინსვლა ჩვენის მუსიკისა.

რომელი აღამიანი იქნება განათლება-განვითარების წინააღმდეგი ამ დროში, მაგრამ ისეთი „განათლება“, რომელიც ჩვენ გადაგვარჯულებს და დავიკარგავს ჩვენ ნამდვილ სახეს—ვერაფერი სასურველია.

არც ოპერების და სხვა რთულ მუსიკალურ ნაწარმოების წინააღმდეგი იქნება ვინმე, მხოლოდ ჩემის აზრით, ჯერ მკვიდრი საძირკველი უნდა ჩიყაროს საერო, სახალხო სიმღერა-გალობლის საქმე, მისწესიერად გავრცელებას, მწყობრ საერო და საეკლესიო გუნდების გამრავლებას, ხალხის და საზოგადოების მომზადებას, რომ წმინდა ქართული მუსიკის გემოვნება შეითვისოს, და მერე ზედ აშენდეს ისეთი რთული ნაწარმოები, როგორც არის ქართული ოპერა, სიმფონია და სხვა, რომ უკანასკნელნი მართლაც შეზავებულნი იყვნენ ქართული სულითა და ხასიათით; წინააღმდეგი მოვლენანი კი, ამისთანა არა ჩვეულებრივი ნახტომები, უსარგებლოა და უნაყოფო.

მიხეილ კავსაძე

პატარა ფელეტონი

დაუჯერებელი ამბები

IV

დიოგენის სანათი უქირავს თურმე ალექსანდრე ჯაბადარს, დადის ამერ-იმერეთში და ეგრედწოდებულ „ქართველთა ამხანაგობის“ წევრებს დაეძებს.

— რა გქნა, პაიები მრავალი გავსალე და ე პაის პატრონები სად ჯანდაბას არიან, რატომ თავისას არ მოიკითხავენო?!

თუ გვეულებათ საღმე, ერთი მაინც მიჩვენეთ იმისთანა, რომ თავისი საკუთრება მომთხოვოს, და... საპოვნელად პაის პატრონებს მოვიწვევ და სრულ ანგარიშს ჩავაბარებო. აცნობეთ, თუ გვეულებათ ვინმე!

წევრები დაჰმადლიან, თორემ ამხანაგო-

ბის საკუთრებაც ხელუხლებელი აქვს და ანგარიშებიც შედგენილიო.

V

წაუკითხავს ისტორიული საზოგადოების თავმჯდომარეს ლევან ყიფიანის წერილი რუსულად ნაბეჭდ სომხურ გაზეთში,—ვერ წარმომიდგენია ქართველთა და მაჰმადიანთა მეგობრობის გულწრფელობაო,—წაუკითხავს და შეფუტხუნებულა. საჩქაროდ კრება დაუნიშნავს გამგეობის წევრებისა, მოუხსენებია თავისი აღშფოთება და ერთხმად დაუდგენიათ:

— ისტორიული ფაქტებით დავუმტკიცოთ მკითხველ საზოგადოებას,—ლევან ყიფიანს ვერაფერს დავუმტკიცებთ, რადგან ვინც მეტს მისცემს იმისი სწამსო,—ღიად, დავუმტკიცოთ მკითხველსა ზოგადოებას, რომ საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი ყოველთვის ერთგულნი ყოფილან ჩვენი ქვეყნისა, რადგან სწორედ აქ ჰქონიათ მინიჭებული ყოველივე უფლება აღამიანისა და მოქალაქისა და ამასთან სრული თავისუფლება სარწმუნოებისა.

მოხსენებას ხსწერენ თითონ თაყაიშვილი და გორგაძე. ამ ცოტა ხანში საზოგადო კრებას მიიწვევენ მოსასმენად და მერმე დაბეჭდავენ ქართულადაც, რუსულადაც და ისე გაავრცელებენო.

VI

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა „მწვანე ყანწების“ მეორე რვეული, შინაარსით ისეთივე ღრმა აზროვანი, ლექსით ისეთივე მაღლიანი, როგორც პირველი რვეული იყო. საყურადღებოა უმთავრესად მანიუესტის „პირველ თქმის“ დამატებანი და განმარტებანი“ გ. რობაქიძისა, შემკული საგანგებოთ, საოცნებო ლექსით, ჯერეთ უთქმელ და უფიქრ შედარებით და... დასკვნით. ძლივს გაბედა რობაქიძემ, უმტყუნა თავის ჩვეულებას და სცადა ნათქვამიდან დასკვნა გამოეყვანაო.

შ სანიშნავია აგრეთვე ელიჩკა დარიანის ლექსი, თავუნასადმი მიმართული. ლექსი საკმარად მოზრდილია, ცოტა არ იყოს პოლემიკური კლოთია დაწერილი და ყოველი ხანა ამ სიტყვებით არის დამთავრებული:

ქალი ტიტველი დაგიხვდი,

შენ მათრახი მკარო!

კაცი მეგონე, მაგრამ... ფუჰ!

არ ვარგებულხარო!

მოლლა ნასრ ელდინი

წვერილი ამბები

◆ **აბჯარელთა სასარგებლოდ** დღეს, 22 მაისს, ნაძალადეგში გაიმართება საღამო.

◆ **მ. მღვიმელის** დილა, ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ის თაოსნობით, გაიმართება დღეს, სახალხო სახლში.

◆ **ბათუმში** მაისის მიწურულს მ. კავსაძის გუნდი კონცერტებს მართავს.

◆ **ამ ნომრისთვის აუჟოგილი** ივ. გომართლის „უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან“, წერ. VII, ერმ. კახის „ქალთა შესახებ“, კ. ჭიჭინაძის „ლექსთა წყობა“ და იოსებ არიმათიელის „ტლუ შებრძოლი—ლადო დარჩაშვილი“, შემდეგი ნომრისათვის გადაიღო.

◆ **ილოს „პრანცივი“-ს** გაგრძელება შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

◆ **წერა-კითხვის საზ-ის სასარგებლოდ** დღეს, 22 მაისს, „ახალი კლუბის“ ბალში გაიმართება დიდი სეირნობა.

◆ **ალ. ივ. სუშატაშვილის** პატივსაცემლად 18 მაისს დრამ. საზ-ის გამგეობის თაოსნობით გაიმართა საზეიმო კრება და დიდი ნადიმი, რომელზედაც მრავალი საგულისხმო სიტყვა ითქვა, შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა გრ. რობაქიძემ. თვით ალ. ივ. სუშატაშვილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დ. მსწრეებზე. ნადიმი მეორე დღის დილის 5 ს. დაიშალა. ერთხმად გადასწყვეტ. გუნდას იუბილიე გამართვა, რომლის კომიტეტის წევრად ყოფნა ისურვა ა. ი. სუშატაშვილმაც.

◆ **ვლ. ალ.-მესხიშვილის** მონაწილეობით ქართ. დრამ. დასმა სამშაბათს, 17/V, სახ. სახლში წარმოადგინა ურიელ აკოსტა. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო.

◆ **ალ. სუშატაშვილი-იუშინის** მონაწილეობით გამართულ წარმოდგენებს დიდძალი საზოგადოება ესწრება სახაზინო თეატრში. გასულ კვირას ზედიზედ წარმოადგინეს „დალატი“. დალატი მხატვრულად იყო დადგმული, მაგრამ ჰქონდა ნაკლიც და ჩვენ უფრო მეტს მოველოდით.

◆ **ოსურამ** დრამატ. წრემ გასულ კვირას სახალხო სახლში წარმოადგინა ალ. ყაზბეგის „არსენა“, ოსურად თარგმნილი. ამ წრეზე დაწვრილებით შემდეგ.

◆ **„შვიტრევილი მიწანი“ ალ. ზანუაშვილის**, ორჯერ ზედიზედ, 3—4 თიბათვეს სახალხო სახლში დაიდგმის შალვა დადიანის რეჟისორობით. როლები განაწილებულია საუკეთესო მსახიობთა შორის. დრამა ავტორის მიერ ახლად შესწორებულია, დაიდგმის ავტორის ხელმძღვანელობით. მუშავდება ახალი დეკორაციები, რისთვისაც მოწვეულნი არიან ჩვენი მხატვრები. მონაწილეობს მ. კავსაძის გუნდიც.

◆ **ქართულ მოღვაწეთა** აგარაკის ასაშენებელ თაჩხის გასაძლიერებლად ნოე გოცაძისაგან (კარიკინიდან)—3 მან., გ. ბელქანიასგან—5 მ., თ. აფხაზიშვილისაგან—1 მ.

◆ **ირ. ევლოშვილის** წერილ შვილთა სასარგებლოდ — ბულდან ევანგულოვისაგან—10 მან.

ი. ევლოშვილის დაქარგვის გამო *

მრავალ სიმწარე გამოვლილილი გული გაშიკვრება და თვალებზე ცრემლი გამიშრა, მაგრამ... კიდევ მომემა საყვარელ სამშობლოს გოდება და ტირილი, რომლის მშრომელმა ხალხმა დაქარგვა საუკეთესო სულის მგოსანი ი. ევლოშვილი, ევლოშვილის ჩანგის ქლერა ხან იმედს გვაძლევდა, ხან ბრძოლისაკენ გვიწვევდა. სამწუხაროა და სატირელი ქართველი ხალხისათვის ი. ევლოშვილის დაქარგვა. ჩემი გაკერაბული გულიც აქვითინდა, მეცა ესტირი საყვარელი მგოსნის დაქარგვას. ამასთანავე ჩემს მწუხარებას გამოგნთქვამ ზოგიერთ იმ პირთა შესახებ, რომელთაც ი. ევლოშვილი შეუწყნარებელი კილოთი მოიხსენიეს. გაზ. „თ. აზ.“-მა ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობათვის მტრებათ მონათლა, არა, ეს ასე არ არის. მე ესტირი ევლოშვილის დაქარგვას, მაგრამ ამავე დროს „თ. აზ.“-ისა და მისი მიმართულების მტერი არა ვარ. ნუ დავიფიცებთ, რომ საქართველო დაღუპა შინაურმა დაუნდობელმა ბრძოლამ. ეს იყო წარსულში, გაუნათლებელ დროს, და ახლა მეოცე საუკუნეში, აღარ უნდა მეორდებოდეს ისეთივე შურიანობა და მტრობა, რადგან ასეთი ბრძოლით დავღუპავთ ჩვენს სამოთხისებურ „ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტის“ ქვეყანას.

გლენი ვასილ კირვალიძე

II

ცრემლთა ფრქვევით ვეგებები ბრძოლის უინით გატაცებულ ძვირფას ირადიონის უღროვოდ სიცოცხლის განშორებას.

ესტირი ჩემს სიყ-მის მასწავლებლის სიცოცხლესთან ბრძოლაში დამარცხებას, რომელმაც პირველად აღმინთო ბრძოლის წყურვილი ცეცხლში გამანაწრობთვის სტრიქონებით. და სასოწარკვეთილი ვეკითხები ამ სუნიელ განაჩენს, რომელმაც სასიკვდილოთ გასწირა მშრომელი ხალხის ერთგული ძენი: „მითხარი კიდევ რამდენს გულს მიუტან საფლავს შუა გაპობილს ცხოვრების ველზე?“ მის. ბოჭორიშვილი

III

დიდად დაგვამწუხრა მგოსან ირადიონ ევლოშვილის გარდაცვალებამ. ხარკოვში მყოფი ქართველი ახალგაზდობა მწარედ დასტირის მის ცხედარს სამშობლოსთან ერთად.

ი. ქლენტი

* ამ წერილის დაბეჭდება გასულ კვირის ნომერში ვერ მოხერხდა. ვებეჭავთ უცვლელად რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ახალი კლუბის ბაღში

კვირას, 22 მაისს, 1916 წ. ქართ. შორის წერა-კითხვის გამ. საზის სასარგებლოდა გამართება

დიდი სახალხო სკირნობა

ლბტანბა-ბლეგრით

(წმინდა შემოსავლის 10 პროც. გადაიღება ქართ. მოღ. პანთონისთვის). გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, ყვავილების ფოსტა, რგოლების სროლა, ტუმბო და სხვა. საბავშვო გასართობები, კოსკები წიგნებისა. სკირნობის დროს დაუკრავს ორკესტრი და სახანდარი. დასაწყისი დღის 3 საათზე, შესასვლელი ფასი დიდებისათვის 40 კ., ბავშვებისათვის და მოწაფეებისათვის—25 კ.

ნამძალადევის თეატრი

კვირას, 22 მაისს, 1916 წ. ომისაგან დაზარალებულ აპარელთა სასარგებლოდ გამართება საღამო შემდეგის პროგრამით:

1 ილ. ჭავჭავაძის სულის დრამა,-

ლექციას წაიკითხავს გრ. ხერხეულიძე.

2 ლიტერატურული განყოფილება.

მონაწილეობენ: ბეგ. ახოსპირელი, კიკნაფშაველი, ფაშალიშვილი, ლეონიძე, მჭედლიშვილი, ალი-ძამია და სხვ.

3 „უჩან-მაჩინის ქუდი“

კომედია 1 მოქ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობენ: ს. გოგაშვილისა, ქ. კამკამიძე; ბ-ნი: ალ. გოგაშვილი, ე. კუდუხაშვილი, გ. შავშიშვილი, ალ. ძაძამია, გერმან. სვანიძე და სხ.-ნი.

ადგილების ფასი; 40—20 კაპ. დასაწყისი 8 1/2 საათზე. მორიგი გამეგ ვლ. ხუხიშვილი.

გამართულია ხელის მოწერა

კიკნა-ფუჰავლის

პთემებისა და რჩული ლექსების კრებულზე, რომელსაც დაერთვის სურათი, ბიოგრაფია და დ. ძანრბაძის გრიტიკული წერილი. ხელის მოწერა შეიძლება ჩვენს რედაქციაში.

სახალხო სახლი

დღეს, 22 მაისს, დღის ბირველის ნახევარზე გამართება

შოი მღვიმელის დღია

- 1 ივ. გომართელის ლექცია,
- 2, მილოცვები (მხოლოდ ბავშვების)
- 3, დიდი დივერტისმენტი ორ განყოფილებად.
- 4, ცოცხალი სურათები; აპოთეოზი დაუკრავს ახალი კლუბის სიმებიანი ორკესტრი ფასი ჩუქულებზე. ქართ. დრამ. წარმოდგენების.



სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т. Полумордвиновъ.

Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ, разръш. нъ представл. на сцен Кавк. Края. ц. 40 коп. Тифлисъ Цензурный Комитетъ

„განათლება“

გურნალ-გაზეტების კანტონა

ქ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.

გზავნება აკცენტებს: „თეატრი და ცხოვრება“, „თან. აზრი“, „უშ. მათრახი“, „საქართველო“, „Тифлискій Листокъ“, „Русское Слово“, „ჭობიზონი“, კედლის კალენდლები და სხ. და სხ. ქართული წიგნები. ფული რა წერილები უნდა გამოიცხავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96, С. Таварткипадзе.

უკვე იბეჭდება
ვევლასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, წასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნილ ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შელავითათა შეიძლება; ხელის მოწერის ღროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი გამოსვლის ეამს ახალ ხელის მოწერთათვის 2 მან. 50 კაპ.)

ხელის მოწერა მიიღება: ყურ. „თეოატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“ სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили.

„თეატრი და ცხოვრება“ ში დასაბეჭ. მიღება განცხადებანი, კანზე—
მთელი გვერდი— 60 მან., ნახევ.— 30 მ., გეოს.— 15 მ., მერგ.— 8 მ.
ტექ. წიგნი— 100 მ. უკან— 70 მ. წლიურ შემოკმე. ჯერ ქაღ. ცარ. შემოკმე. მოკმე.
Tif. red. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის ხუბრთმზინი ყურნალი იშპორისტული განყოფილებით, შარყებით და კარიკატურებით

ფელიწადი მეოსთა	„თეატრი და ცხოვრება“	წლიწად 5 მან. ნახ. წლ. 3 მან.
წელიწადი გამოსვმისა მეოსთა		

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ყურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა
ყურნალში ხუბრთსამდე ხუბრთი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევე 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის ღროს—2 მ. მისში— 2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონკოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი

Дозволено Военной Цензурою стамба „სორაპანი“